# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 16 დეკემბერი 2005 №289 (2612) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროთასები: ზამთარია, ძილის დროა




AFP

### I კალათა

იუვენტუსი
არსენალი
ბარსელონა
ვილიარეალი
მილანი
ლიონი
ლივერპული
ინტერი

## დღეს ნიონში კენჭები კი არა, ლოდები იყრება

### II კალათა

ბაიერნი
აიაქსი
ვერდერი
ბენფიკა
პსვ ეინდჰოვენი
რეალი
ჩელსი
რეინჯერსი




წილისყრის დეტალები იხილეთ მეექვსე გვერდზე



ოლიმპიაკოსმა დააზუსტა: გიორგი ფოფხაძე

3



რა ატირებს თემურ ქეცბაიას

3



ნიკოლოზ ცქიტიშვილი მგლებმა დააბეს

14

# დავით სირაძე: აუე უკვე ნაღდია



**24 წლის** დავით სირაძე ძალიან ახლოსაა იმასთან, რომ თავისი მესამე მეორებუნდესლიგური ტრანსფერი გააფორმოს — სირაძე მალე ერცგებირგეს აუე-ს ფეხბურთელი გახდება. დათოს გუშინ დავურეკეთ გერმანიაში...

— აუე-ში ორჯერ ვივარჯიშე და იქიდან უკვე წამოვედი, ხოლო თბილისში რამდენიმე დღეში დავბრუნდები. აუე წელიწადნახევრიან კონტრაქტს მთავაზობს და იანვარში ალბათ მოვაწერ კიდეც ხელს.

— აუე სამი ფორვარდით თამაშობს. მითხრეს, ან მარჯვენა გარემარბად გათამაშებთ ან ცენტრფორვარდის უკანო.

— გერმანიაში ბერლინის „უნიონსა" და ტრირის „აინტრახტშიც" მითამაშია და აუე მათზე უკეთესი კლუბი ჩანს და პირობებიც მისაღები შემომთავაზა. აუე-ს მწვრთნელმა გერდ შოდლმა მითხრა, დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენს გუნდში ითამაშო, თუ აუე-ში ფეხს მყარად მოიკიდებ, პირველი ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში გადასვლა სავსებით რეალურიაო.

— მქონდა ყაზანის „რუბინის" ვარიანტიც, მაგრამ გერმანიაში ყოფნა და თამაში მირჩევნია, თანაც აუე უკვე ნაღდი ვარიანტია.

**დავით თავართქილაძე**

# კობის მინიტრავმა

ლევან კობიაშვილმა გელზენკირხენის „შალკეს" გუშინწინდელ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. თუმცა გერმანული სააგენტოების ცნობით, საბედნიეროდ, საშიში არაფერია — „კობი" ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ბრაზილიელ თანაგუნდელ რაფინიას შეეჯახა და ეს ორი ვარჯიშის გამოტოვებად დაუჯდა.

შესაძლოა, ლევანმა ხვალ ბუნდესლიგის მორიგ ტურში, სტუმრად „შტუტგარტთან" ითამაშოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, „შალკეს" ექიმებმა არ გარისკონ და ჩვენიანი გუნდის დროებითმა მწვრთნელმა ოლივერ რეკმა თავის სადებიუტო მატჩში ვეღარ დაიხმაროს.



# თამაში ლატარიაა

## თასს და ჩემპიონატს თებერვალი დაუდგინეს

**პროფესიული** ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტი ჯერაც აგრძელებს მუშაობას მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარზე, თუმცა უკვე ცნობილია თარიღები, ქართული კლუბები ოფიციალურად რომ განაახლებენ სეზონს — 18 თებერვალს დავით ყიფიანის სახელობის თასის შეხვედრების გამართვაა დაგეგმილი, 22-23 თებერვალს კი უმაღლესი ლიგის მეორე წრის პირველი ტური დაიწყება.

პროფლიგა აგრძელებს მუშაობას საფეხბურთო ლატარიის პროექტზეც, რომლის გათამაშების დაწყებაც ასევე გაზაფხულიდან არის ნავარაუდევი. პროექტის მიხედვით, ლატარიის ბილეთის მყიდველს უმაღლესი ლიგის შეხვედრაზე დასწრების უფლება ექნება. სტადიონებზევე დაიდგმება სპეციალური ურნები, რომლებშიც ლატარიის ბილეთები ჩაიყრება, შემდეგ კი შემოსული თანხის მიხედვით განისაზღვრება საპრიზო ფონდი ყოველი კონკრეტული ტურის ანუ ტირაჟისთვის.

პროფლიგაში ვარაუდობენ, რომ ამ გზით გულშემატკივრებს დამატებითი სტიმული მიეცემათ ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებზე დასასწრებად. პირველ ეტაპზე შესაძლოა ლატარიის გათამაშებამ მხოლოდ ჩემპიონატის ლიდერი გუნდების მონაწილეობით გამართული შეხვედრები მოიცვას. პროექტის საბოლოო მიზანს კი „ერთგულების ლატარიის" მთელ უმაღლეს და პირველ ლიგებში გავრცელება წარმოადგენს.

**გიორგი ნოზაძე**

# უეფას თასი 2005-2006 ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**A ჯგუფი**

**ჰამბურგი (გერმანია) 2:0 სლავია (ჩეხეთი)**

1:0 ბარბარესი (9), 2:0 ე. მპენზა (57)

**მონაკო (საფრანგეთი) 2:1 ცსკა (ბულგარეთი)**

1:0 კაპო (50), 2:0 სკილაჩი (75), 2:1 ვ. დიმიტროვი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ჰამბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| ვიკინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ცსკა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |

**B ჯგუფი**

**ესპანიოლი (ესპანეთი) 1:0 მაკაბი (ისრაელი)**

1:0 პოჩეტინიო (83)

**პალერმო (იტალია) 3:0 ბრონდბიუ (დანია)**

1:0 მაკინვა (27), 2:0, 3:0 რინაუდო (45, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ბრონდბიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| მაკაბი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

**C ჯგუფი**

**ლანსი (საფრანგეთი) 2:1 სამპდორია (იტალია)**

1:0 ტომერი (10), 1:1 ფლაკი (23), 2:1 იომა (90)

**ჰერტა (გერმანია) 0:0 სტიაუა (რუმინეთი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 4 | 2 | 2 | 0 | 7:0 | 8 |
| ლანსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ჰერტა | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | 6 |
| სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ჰალმსტადი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

**D ჯგუფი**

**მიდლსბრო (ინგლისი) 2:0 ლიტექსი (ბულგარეთი)**

1:0, 2:0 მაკარონე (80, 86)

**ალკმაარი (ჰოლანდია) 1:0 გრასჰოპერი (შვეიცარია)**

1:0 კოევერმანსი (70)

**ალკმაარი:** ტიმერი, იალენსი, მატიისენი, დე კლერი, სტეინსონი (ოპდამი 63), ლანძაატი, დ. დე ზეუვი (ა. რამზი 73), მედუნიანინი, სეკტიუი, ვან გალენი (ჰიუსეგემსი 64), კოევერმანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 4 | 3 | 1 | 0 | 6:0 | 10 |
| ალკმაარი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| ლიტექსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| დნიპრო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| გრასჰოპერი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | 0 |

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XXIII ტური

**ჰელმონდი 4:2 დენ ბოსხი**

## ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 2:0 უნგრეთი**

# ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე

**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის თაოსნობით კანცელარიის წინ მდებარე მინი-მოედანზე იწყება ტურნირი სახელწოდებით „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე".

ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს: პრესა, ტელევიზია, ფედერაცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნაციონალური მოძრაობა, აქსისი, TBC ბანკი, ვინდფორსი.

ეს გუნდები ორ ჯგუფად დაიყოფა და ჯგუფური ეტაპის მატჩები პარასკევს და შაბათს ჩატარდება, ფინალი კი კვირას 16 საათზეა დაგეგმილი.

**ბაჩა შალამბერიძე**

# მოდებაძის თარსი თასი



**ზაპოროჟიეს** „მეტალურგის" ქართველი თავდამსხმელი, ტრავმებით გატანჯული ირაკლი მოდებაძე ისევ დაშავდა. ირაკლი უკრაინის თასზე „კრივბასთან" (3:0) მატჩში 47-ე წუთზე შეცვალეს.

„სამწუხაროდ, მოდებაძე ისევ დაშავდა" — ნაღვლიანად თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მეტალურგთა თავკაცმა ვიაჩესლავ გროზნიმ.

წინასწარი ვარაუდით, ჩვენებურის ტრავმა არც ისე სერიოზული უნდა იყოს. უკრაინული პრესის ცნობით, ირაკლის რამდენიმედღიანი მკურნალობა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ მოდებაძე ორიოდ კვირის წინ მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს და ოთხ მატჩში ორი გოლი გაიტანა.

სამწუხაროა, მაგრამ ბოლო სამი წელია, მოდებაძეს სეზონი ხეირიანად არ ჩაუტარებია...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ლოკომოტივის ახალი თავი

**თბილისის** „ლოკომოტივის" თავკაცად სოსო სირაძე იმუშავებს. ეს არც იყო ძნელი გამოსაცნობი — მომხდარი დასანანი ამბის შემდეგ „ლოკომოტივი" „ლოკომოტივი 2"-ის ფეხბურთელებით შეივსო, ამ გუნდს კი სწორედ დავით სირაძის მამა, სოსო წვრთნიდა.

ძნელი, მაგრამ უამბიციო მუშაობა მოუწევს სოსო სირაძეს: ბუნებრივია, იმ გუნდს, რომელიც პირველ ლიგაშიც კი ქვედა საფეხურებზე იყო, უმაღლესში ვერანაირ მაღალ შედეგს ვერ მოსთხოვ, თუმც ვინ იცის...

**ლუკა თალაკვაძე**



გიორგი ფოფხაძე „ჰაკენში“ ყოფნისას ცნობილ დანიელ სტიგ ტოფტინგთანაც მეგობრობდა

# ოლიმპიაკოსმა დააზუსტა: გიორგი ფოფხაძე!

*რამდენიმე დღეა, ვრცელდება ინფორმაცია ბერძნული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის, „ოლიმპიაკოსის“ მავანი ქართველი ფეხბურთელით დაინტერესების შესახებ. პირველად ამ კონტექსტში ჯაბა კანკავას, შემდეგ კი გიორგი განუგრავას გვარებმა გაიჟღერეს. ჩვენი ბერძენი კოლეგები თემურ ქეცბაიასაც დაუკავშირდნენ და ამ ფეხბურთელების დახასიათება სთხოვეს. თემურთან ინტერვიუს ცალკე გთავაზობთ, მასთან ჩვენი საუბრის შემდეგ კი „სარბიელის“ რედაქციაში საბერძნეთიდან მორიგი ზარი გაისმა.*

*საინფორმაციო სააგენტო „სკაი სპორტის“ ბერძენმა კორესპონდენტმა გვაცნობა, გადამოწმებული ინფორმაციით, „ოლიმპიაკოსი“ თბილისის „თბილისის“ მარცხენა მცველით, გიორგი ფოფხაძითაა დაინტერესებულიო. ჩვენმა კოლეგამ გიორგის საკმაოდ დეტალური დახასიათება გვთხოვა და, ბუნებრივია, შესაბამისი ინფორმაცია მივაწოდეთ კიდეც, თუმცა თავად გიორგისთვის ეს ამბავი მოულოდნელი აღმოჩნდა...*

— ალალად გეტყვით, ბერძნების ჩემით დაინტერესების შესახებ პირველად თქვენგან მესმის. არავინ დამკავშირებია და ვერ გეტყვით, საიდან მოდის ეს ინტერესი.

— ვიცით, რომ რამდენიმე უცხოური კლუბი შენით მართლაც არის დაინტერესებული...

— დასამალი არაფერი მაქვს. გარკვეული პერიოდი შვედურ „ჰაკენში“ დავყავი და ამ გუნდთან ერთად საკონტროლო შეხვედრებშიც მივიღე მონაწილეობა. ერთ-ერთ შეხვედრაში ჩვენი მეტოქე იქაურ უმაღლეს ლიგაში ახლახან გადასული „იოსტერი“ იყო. 2:4 წავაგეთ, თუმცა გოლის გატანა კი მოვახერხე. ეს ორივე კლუბი, „ჰაკენი“ და „იოსტერი“ მზად არიან, ყოველგვარი სინჯების გარეშე გამიფორმონ კონტრაქტი, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ვჩქარობ.

— დაინტერესებულ კლუბთა შორის მოსკოვის „ტორპედოც“ ფიგურირებს...

— კი, ოღონდ რუსები გასინჯვაზე მიწვევენ. რუსეთისკენ გული ისედაც არ მიმიწევს და, მით უმეტეს, გასინჯვაზე წასასვლელად.

— ვინ არის შენი აგენტი, იქნებ „ოლიმპიაკოსის“ ინტერესიც მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედეგია?

— ოფიციალური აგენტი არ მყავს. შვედურ ვარიანტზე ერთ-ერთი იქაური აგენტი მუშაობს, მოსკოვის „ტორპედოსთან“ დაკავშირებულ საქმეში კი „თბილისის“ პრეზიდენტი გოჩა თამაზაშვილი მეხმარება. უკვე გითხარით, „ოლიმპიაკოსის“ ინტერესის შესახებ არაფერი მსმენია, თუმცა, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, თუკი ასეთი ტიტულოვანი და ევროპაში ცნობილი გუნდის ინტერესი რეალური აღმოჩნდება.

**გიორგი ნოზაძე**

# ვიტ ჯორჯიამ სამნახევარი მოიკლო

**საქართველოს** მე-17 ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ სამ ფეხბურთელს დაშორდა. მეკარე დავით მუჯირიშვილი, ნახევარმცველი ლაშა მანწკავა და თავდამსხმელი ვლადიმერ კობახიძე, რომლებიც ძირითადად სარეზერვო გუნდში თამაშობდნენ, ვიტელები აღარ არიან.

„ვიტ ჯორჯიას“ პრესსამსახურის ცნობით, ამ სამეულამდე კლუბი ლევან კვარაცხელიასაც დაემშვიდობა, ოღონდ, ექვსი თვით — კვარაცხელია სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო „თბილისში“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს.



ლევან კვარაცხელია

**ქახა ზალამბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაუს ტოპმიოლერი ჩაიშალა; არა, ტოპი მაგარი კაცია, უარს არ გვეტყვის და კომპრომისზე წამოვა; სრეჩკო კატანეციც კარგი ვარიანტია; ტოპმიოლერი თუ კატანეცი, კატანეცი თუ ტოპმიოლერი — ესაა ქართველ ქომაგთა მთავარი სალაპარაკო თემა. ზოგს ერთი უნდა, ზოგს — მეორე. ზოგი კი სულაც არ თვლის მწვრთნელის თემას აქტუალურად და პრობლემებს ფესვებში ეძებს...

თემურ ქეცბაიას სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრეთ, თუმც, ცხადია, მის „ანართოსისსაც“ შევეხეთ და, რა თქმა უნდა, ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ჯაბა კანკავას ან გიორგი განუგრავას გადაყვანასაც. როგორც იცით, ბერძნებმა ქეცბაიას სთხოვეს ამ ფეხბურთელების დახასიათება და რა უთხრა თემურმა?

# რა ატირებს თემურ ქეცბაიას

## ყანაში გინდ უცხოელი შესულა, გინდ ქართველი

— მე ფიზიკურად არ მაქვს საშუალება, საქართველოს ჩემპიონატს ვადევნო თვალი. ამიტომაც კანკავას და განუგრავას ხუთი თითივით ვიცნობ-მეთქი, ვერ ვიტყვი. თავისთავად ის ფაქტი, რომ საბერძნეთის საუკეთესო გუნდი ორი ქართველი ახალგაზრდით სერიოზულად დაინტერესდა, უკვე ბევრს ნიშნავს. როგორც ბერძნებმა მითხრეს, ისინი ამ ბიჭების გასინჯვას აპირებენ, ოღონდ როდის, არ ვიცი.

— ისიც ითქვა, „ოლიმპიაკოსი“ კანკავასა და განუგრავას შორის ერთ-ერთს შეარჩევს და გუნდში აიყვანსო. რომელი მათგანი უფრო აინტერესებდათ ბერძნებს?

— ეგ არ ვიცი. თავად ამ ბიჭებზეა დამოკიდებული, როგორ წარმოაჩენენ თავს. „ოლიმპიაკოსში“ გადასვლა ცხოვრების შანსია და რაც მეტი ფეხბურთელი წავა საქართველოდან ასეთი დონის გუნდებში, მით უკეთესი.

— „ანართოსისზე“ რას იტყვით, თქვენი გაწვრთნილი გუნდი ახლა მეოთხე ადგილზეა და შესაძლოა, ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდეს...

— კვიპროსზე მარტო „ანართოსისი“ არ თამაშობს ფეხბურთს, კიდევ ერთი-ორი კარგი გუნდია. შაბათს მეორეადგილოსანს ვხვდებით და უნდა მოვიგოთ. ჩვენც ლიდერთა ჯგუფში ვართ, ჯერ რა დროს იმედის გადაწურვაა.

— ლევან კორღალიძემ უკვე დატოვა „ანართოსისი“?

— კი, კორღალიძე იყო აქ, ცოტა ხანი ივარჯიშა და მერე წავიდა. ჯერჯერობით არც ერთი ქართველი ფეხბურთელის დამატება არაა გადაწყვეტილი, მათ შორის, ამირან მუჯირისაც.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებზეც გკითხავთ. თქვენი აზრით, ფედერაციამ რა კრიტერიუმით უნდა შეარჩიოს სპეციალისტი — ნაკრებში მუშაობის გამოცდილებით თუ ზოგადად სახელით?

— მთავარი ისაა, რისი მიღწევა სურს საქართველოს ნაკრებს. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ საქართველოში პროგრესის პირობები არ არის. მარტო მატერიალურ მხარეზე კი არ ვამბობ, შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ნაკრების ბაზა, ერთი ნორმალური სტადიონი და მინდორი არ მოიძებნება. ლეგენდარულ ეროვნულ სტადიონს რომ ვხედავ, ტირილი მინდება. რა გახდა ერთი ნორმალური საფარის ჩამოტანა და დაგება, ან რა გახდა სკამების დამონტაჟება, ან რას ჰგავს „ლოკომოტივის“ სტადიონის მინდორი...

ელემენტარული რამის გაკეთება არ უნდათ, რომელ შედეგზე, რომელ უცხოელ მწვრთნელზე და რომელ ჯგუფიდან გასვლაზეა ლაპარაკი. ძალიან გამიხარდება, პირობების გარეშეც მოხერხდეს ფინალურ ეტაპზე გასვლა, მაგრამ როგორ?!

— როგორ ფიქრობთ, კვალიფიციური სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში მუშაობას რომ დათანხმდეს, ჯერ ფულზე დაიწყებს ლაპარაკს თუ ზოგადად ინფრასტრუქტურას გაეცნობა? ანუ რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი?

— მოდით, მიამიტები ნუ ვიქნებით. უცხოელი პირველ რიგში იმას ეცდება, ფული აიღოს, მისთვის გაპარტახებული სტადიონები არ იქნება იმდენად გულდასაწყვეტი, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ უამისოდ შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია?! უცხოელი მწვრთნელი დაინახავს, რომ შედეგი არაა, წავა ან გაუშვებენ და დაიწყება ლანძღვა-გინება, ამანაც ვერ გვიშველაო. ასე გაგრძელდება წლობით, იმას კი არ ვფიქრობთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა თუ გინდა, ელემენტარულად ბაზა და სტადიონია საჭირო. ჩამოვა უცხოელი და გვეშველებაო... არ მესმის იმ ხალხის, ვინც ასე ფიქრობს.

— ალბათ ამიტომაც არ ფიქრობთ საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე...

— რომც შემომთავაზონ, სანამ საქმე მიშვებული იქნება, არც ვიფიქრებ.

**ილია ნანობაშვილი**

ამერი

# ამერი არა მხოლოდ ამერ-იმერისთვის

## ვუყურებთ ზედაზენს, ვფიქრობთ ევროპაზე

**რადგან** „ამერი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი, ყველასათვის თვალშისაწვდომ სარბიელზე ახლადგამოჩენილი, ფინანსურად ღონიერი და სერიოზული, კონკრეტული პროექტების მქონე გუნდია, მასზე პირველი წრის მიმოხილვის წერას ზოგადი წერილი ვამჯობინეთ კლუბის სტრუქტურულ საკითხებზე...

თბილისის „ამერი“ და „ზესტაფონი“ — ორადორი კლუბი, რომლებმაც ბოლო ორ წელიწადში სოლიდური ინვესტიციები ჩადეს ფეხბურთში და ასეთ კურსს არ უხვევენ.

„ამერს“ ის უპირატესობაც აქვს, რომ დედაქალაქის გუნდია და ქართველი ფეხბურთელისთვის იქ გადასვლა ერთობ მიმზიდველია. „ამერი“ მზარდი კლუბია, კარგი პირობები აქვს და სამომავლოდ ალბათ უფრო მეტი ფულის დახარჯვასაც აპირებს.

კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია გახლავთ, ყოფილი ჟურნალისტი და ასევე წარმატებული მეწარმე. კლუბის ერთ-ერთი მეპატრონეა კონსტანტინე გოგელიაც — მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, ვინც რუსულ-შვეიცარიულ კომპანია PROGETRA-ს წარმოადგენს. ეს კომპანია რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვანი გადაზიდვებითაა დაკავებული.

„ამერი“ უმაღლეს ლიგაში წლეულს ალზევდა, თუმც მეტწილად უმაღლეს ლიგაში გამოწრთობილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. 2003-04 წლების სეზონის პირველ ეტაპზე პირველლიგელ „ამერს“ მომავალში ჩვენი ეროვნული გუნდის დამრიგებელი გაიოზ დარსაძე წვრთნიდა, მაგრამ ამ პროექტმა ვერ გაამართლა, დარსაძის და „ამერის“ გზები გაიყარა. წინა სეზონში კი „ამერმა“ გიორგი ჩიხრაძის ხელმძღვანელობით პირველ ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლესში გადავიდა.

მაინც რამდენია „ამერის“ წლიური ბიუჯეტი? კლუბის პრესსამსახურმა გვაცნობა, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

„ამერს“ გრძელვადიანი იჯარით აქვს აღებული გლდანში მდებარე ოლიმპიური რეზერვების სკოლა-ინტერნატის ტერიტორიის ნაწილი, სადაც სამი მოედანი გაუშენებია — ორი სტანდარტული: მინდვრის და ხელოვნურსაფარიანი; ერთიც ხელოვნურსაფარიანი მინი, იქვეა კლუბის ადმინისტრაციული შენობა და გასახდელები.

მაგრამ გლდანი „ამერის“ ერთადერთი რეზიდენცია როდია — საგურამოში ბაზის მშენებლობას მალევე დაამთავრებს და მომავალ სეზონში ვინძლო დაბინავდეს კიდეც იქ. საგურამოში „ამერს“ ოთხი სტანდარტული ზომის მოედანი ექნება, სამი ბუნებრივი და ერთი ხელოვნურსაფარიანი — ასეთ ოთხჰექტარიან კომპლექსს გააშენებს „ამერი“ ზედაზენის ძირში.

ცხადია, „ამერი“ ყველაფერ ამას მხოლოდ ამერ-იმერისთვის არ აკეთებს — კლუბის მიზანია, 2008-10 წლებში სერიოზულად იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად და რენტაბელურ საწარმოდ იქცეს.

„ამერი“ საშინაო მატჩებს გლდანში მართავს, მაგრამ იმ სტადიონის ტრიბუნები ოდენ 900 კაცს იტევს და კლუბი ახალი სტადიონის აშენებას გეგმავს, დაახლოებით 10-15 ათასიანს. თუ ეს პროექტი განხორციელდა, სტადიონი გლდანში აიგება, რადგან „ამერი“ უკვე ყალიბდება გლდანის, უბნის გუნდად.

ამ დროისთვის „ამერი“ ერთადერთი ქართული კლუბია, ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩებისთვის პროგრამებს რომ ბეჭდავს. პროგრამა 50 თეთრი ღირს და იმისთვისაა განკუთვნილი, რომ „ამერმა“ კიდევ უფრო სოლიდური კლუბის სახე მიიღოს. თუმც გლდანში ვერსად წააყდებით აფიშას, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე თქვენი უბნის გუნდი ამა და ამ მეტოქეს მასპინძლობსო, თუმცა, ალბათ, ახალი, უფრო ტევადი სტადიონის აგების შემდეგ ეს პრობლემა აღარ იქნება.

„ამერი“ საკმაოდ აქტიურად მოქმედებს სატრანსფერო ბაზარზე. მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ უკვე გადმოიბირა სამი ფეხბურთელი ბოლნისის „სიონიდან“ — მცველი თენგიზ ჩიკვილაძე და ნახევარმცველები, დავით ბოლქვაძე და გრიგოლ დოლიძე. „ამერი“ ალბათ ამით არ შეწყვეტს სატრანსფერო საქმიანობას მიმდინარე სეზონში.

ამერელებმა შარშან ორი 16 წლის ფეხბურთელი დაუთმო „ზესტაფონს“ — ბექა გოცირიძე და გიორგი განუგრავა, თუმც რა თანხად, ესეც კონფიდენციალურია.

...უცნაური იყო, როცა მიმდინარე ეროვნულის მე-14 ტურში „სიონთან“ მატჩის წინ „ამერის“ ფეხბურთელებს ინტერვიუებისგან თავის შეკავება სთხოვეს — ასეთმა, ჩვენთვის გაუგებარმა მეთოდმა არ გაამართლა, „სიონმა“ გლდანში 1:0 მოიგო.

და რა ფასი აქვს დახარჯულ ფულს და დაღვრილ ოფლს გულშემატკივრის გარეშე? ამერელებს ფან-კლუბი ადრეც ჰყავდათ, მაგრამ კლუბმა ახლა მეტი სერიოზულობით მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და როგორც პრესსამსახურის უფროსმა გიორგი დარჯანიამ გვითხრა, გაისად ფან-კლუბი გაცილებით სოლიდურ სახეს მიიღებს.

და განა მარტო ფან-კლუბი? კითხვებს სეზონის განახლებიდან, თებერვლიდან ეპასუხება.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი ქუთათელაძის ფოტოები

უმაღლეს ლიგაში „ამერის“ ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მატჩი მეორე ტურში, „ზესტაფონთან“ იყო



დენის დობროვოლსკი (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელები პირველი წრის ბოლო ტურში აუტსაიდერ „თბილისთან“ მატჩში ქულასღა გამორჩნენ

**პირველი ტური**
1 აგვისტო, ორშაბათი
ტორპედო 0:1 ამერი

**მეორე ტური**
7 აგვისტო, კვირა
ამერი 2:0 ზესტაფონი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი 3:0 ამერი

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
ამერი 1:1 დინამო

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
დილა 0:1 ამერი

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
ამერი 1:0 ცხინვალი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
ბათუმი 1:0 ამერი

**მერვე ტური**
30 სექტემბერი, პარასკევი
ამერი 1:2 ვიტ ჯორჯია

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი 0:1 ამერი

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
ამერი 1:0 ბორჯომი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
სოხუმი 0:3 ამერი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
ამერი 1:0 სპარტაკი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
კახეთი 1:2 ამერი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ამერი 0:1 სიონი

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
თბილისი 0:0 ამერი






სულიკო დავითაშვილი

მეგოლეები
6 — სულიკო დავითაშვილი
4 — დავით სევასტოპულო
2 — ალეკო კოშკაძე
1 — ვახტანგ ხვადაგიანი
ალეკო კაიდარაშვილი
დიმიტრი ტატანაშვილი

**ამერი პირველ წრეში**

15 თამაში, 9 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 15:9, 29 ქულა

## კოლხეთი



გაფიი კოპიაშვილის ფოტო

# კოლხეთი ბეშიქთაშამდე ანუ ფოთური რეალობა



პირველ წრეში კოლხების „ფაზისზე“ დამარცხება დიდი პრობლემა იყო

**ბათუმი** და ფოთი რას გაუყვია — ორივე ზღვისპირული გუნდი 22-22 ქულით ცხრილის შუაგულშია, არც გავარდებიან და ვერც ლიდერებს დააფრთხობენ. ცოტა გადამლაშებულ შედარებას რომ მივმართოთ, „ბათუმიც“ და „კოლხეთიც“ ისე არიან, როგორც ესპანეთში „სარაგოსა“, ინგლისში „ჩარლტონი“ ან გერმანიაში „გლადბახი“...

თუმცა აქ „კოლხეთზე“ გვექნება საუბარი. ნოდარ ახალკაცის ნოვატორული 16-გუნდიანი ჩემპიონატი რომ არა, ფოთელები ახლა პირველ ლიგაში უნდა ბურთაობდნენ, მაგრამ ცალკე აფხაზეთ-სამჩაბლოს პოლიტმოტივი, ცალკე ფოთის, როგორც ქართული ფეხბურთის კარიბჭის ფაქტორი და „კოლხეთიც“ იქაა, საიდანაც არასოდეს გავარდნილა — უმაღლეს ლიგაში.

სეზონის დაწყებამდე „კოლხეთის“ უმაღლესლიგელობა ეჭვქვეშ იდგა, მაგრამ ავად თუ კარგად კლუბს შემნახავი გამოუჩნდა — ქალაქის მერიამ და გამგეობამ იკისრა პატრონობა, მერე მთავარი მწვრთნელიც შეიცვალა, უკვე მერამდენედ გუნდს სოსო ფილია გაუთავკაცდა და დაწყებაც ისეთი იყო, მოდი და, უკეთესი ინატრე — „კოლხეთმა“ პირველივე ტურში ზვიად ქუთათელაძის გოლით „ვიტ ჯორჯიას“ 1:0 მოუგო, ამას იქით კი ვიტელებს თამაში აღარ წაუგიათ.

ქუთათელაძე გაკვრით სახსენებელი კაცი არ არის. საწყის ტურებში „კოლხეთი“ მხოლოდ მისი გოლებით საზრდოობდა, მთელი გუნდი მასზე მუშაობდა და „ქუთესაც“ გაჰქონდა და გაჰქონდა. ქუთათელაძეს პირველ წრეში 7 ბურთი დაუგროვდა, მაგრამ არაა გამორიცხული, მეორე წრიდან მარაგი სხვა გუნდის სახელით შეივსოს — დიდი შანსია, ზვიადი მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდეს.

სხვა ვინ გამოვარჩიოთ „კოლხეთიდან“? რა თქმა უნდა, გამოცდილი ჯონი შალამბერიძე, ფილიას მიერ გუნდში დაბრუნებული გიორგი კრასოვსკი და ქუთათელაძის მეწყვილე ზამირ ჯანაშია, ზაზა ჯანაშიას ძმა. ზამირი 17 წლისაა, თავის დროზე მოსკოვის „ლოკომოტივის“ ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა და სწორედ ნახსენებ „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშში გამოჩნდა პირველად — ჯიგრიანად ითამაშა და „ქუთეს“ გოლიც დიდწილად მისი დამსახურება იყო. ნიჭიერიაო (ქართველებს ხომ ძალიან გვიყვარს ეს სიტყვა), ზამირ ჯანაშიაზე დიახაც უნდა ვთქვათ, ეგაა, ბევრი შიშობს, უფროსი ძმასავით ნაადრევად არ ჩამოშორდეს ფეხბურთსო.

პირველ წრეში „კოლხეთის“ თამაშების პროგნოზირება უადვილესი იყო: ფოთელები შინ გოლგაუშვებლად იგებდნენ და სტუმრად გოლგაუტანლად აგებდნენ. ასე გრძელდებოდა რვა ტური, სანამ „ამერმა“ არ დაარღვია „ფაზისზე“ ტრადიცია — ფილიას გუნდმა საპირველწრეო 22 ქულიდან 19 შინაურ სტადიონზე მიითვალა, თუმც გასვლით მატჩებზე რამდენჯერმე არ გაუმართლა.

გავიხსენოთ თელავში სტუმრობა, კახური ბურუსის გამო ლამის დამალობანას თამაში რომ გამოვიდა. იმ მატჩს ნებისმიერ დალაგებულ ქვეყანაში შეწყვეტდნენ და გადაათამაშებდნენ, მაგრამ ვაი ფოთურ რეალობას — სოსო ფილიამ ნამატჩევს თქვა, თამაშის გადადება იმიტომ ვიუარეთ, რომ სამგზავრო თანხას გავუფრთხილდით, ფოთიდან თელავში ხელახლა ჩასვლა-ჩამოსვლა ნამეტანი ხარჯი იქნებოდაო...

ანუ? ანუ ის, რომ „კოლხეთს“ ფული არ უჭყავის ყულაბაში. თვენახევარ-ორი თვის წინ ითქვა, კოლხეთს“ თურქული „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი სპონსორი დაეპატრონება, ისინი ფოთში ნავთობტერმინალის აშენებას აპირებენ და გვეშველებაო. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

მერე ითქვა, „ბეშიქთაშის“ სპონსორი პირველი წრის დასრულების შემდეგ შემოვა ფოთშიო, მაგრამ რაც ითქმება, ის რომ ყოველთვის თათარიახნად სრულდებოდეს საქართველოში, სად გაგონილა. დაველოდოთ, ვინ იცის...

**ილია ნანობაშვილი**

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
კოლხეთი 1:0 ვიტ ჯორჯია

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ბორჯომი 1:0 კოლხეთი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
კოლხეთი 1:0 სპარტაკი

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
სიონი 2:0 კოლხეთი

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
კოლხეთი 1:0 ტორპედო

**მეექვსე ტური**
18 სექტემბერი, კვირა
ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
კოლხეთი 2:1 დილა

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი 2:0 კოლხეთი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი 0:1 ამერი

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი 4:0 სოხუმი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
კახეთი 3:2 კოლხეთი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი 2:1 თბილისი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი 3:0 კოლხეთი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი 0:0 დინამო

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
ცხინვალი 1:3 კოლხეთი






ზვიად ქუთათელაძე

მეგოლეები
7 — ზვიად ქუთათელაძე
3 — გიორგი კრასოვსკი
2 — ზამირ ჯანაშია
1 — ილო ქუტიძე
ჯონი შალამბერიძე
გიორგი წიქარიშვილი
ედიშერ მარგალიტაძე

**კოლხეთი პირველ წრეში**

15 თამაში, 7 მოგება, 1 ფრე, 7 წაგება, ბურთები 16:17, 22 ქულა




# ნიონში, სამ საათზე

**დღეს** შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისა და უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა გაიმართება.

ლიგელთა დაწყვილება ჩვენი დროით სამ საათზე დაიწყება. სამივე იტალიური კლუბი განთესილთა შორის მოხვდა, ჰოლანდიისა და გერმანიის ორ-ორი გუნდი კი მეორე კალათაში აღმოჩნდა.

მოკლედ, ინგლისს, ესპანეთსა და იტალიას სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავს, ხოლო საფრანგეთს, პორტუგალიას და შოტლანდიას — თითო-თითო.

ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდები სხვა ჯგუფების მეორეადგილოსნებს შეხვდებიან. ერთი ქვეყნის „შვილები" ამ ეტაპზე ერთმანეთს არ დაეჯახებიან.

ოთხ საათზე კი უეფას თასის მეთექვსმეტედფინალისტთა დაწყვილება დაიწყება. ჩემპიონთა ლიგაში მესამე ადგილზე გასულები უეფას თასის ჯგუფების მეორეებს გადაეყრებიან. აქაც, ისევე, როგორც ლიგის მერვედფინალში, ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს ასცდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ისინი არ ყოფილან თაღლითები

**გუშინ** ტურინის „იუვენტუსის" დირექტორი ანტონიო ჯირაუდო და კლუბის ექიმი რიკარდო აგრიკოლა სააპელაციო სასამართლომ დოპინგთან დაკავშირებული ბრალდებებისგან გაათავისუფლა. კერძოდ, ამ ორ ადამიანს ფეხბურთელების აკრძალული მედიკამენტებით მომარაგებასა და გაძლიერებაში სდებდნენ ბრალს. ამბობდნენ, რომ ეს ინტენსიურად 1994-98 წლებში ხდებოდა, როდესაც „იუვენტუსმა" სამჯერ იტალიის ჩემპიონატში და ერთხელ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა.

სხვათაშორის, ჯირაუდო 2004 წლის ნოემბერშიც გაამართლა სასამართლომ, ხოლო აგრიკოლას იტალიაში საგანგებოდ მოქმედი „სპორტული თაღლითობის" კანონის შესაბამისად, წელიწადი და ათი თვე მიუსაჯეს. აქვე დავძინოთ, რომ კანონი სპორტული თაღლითობის შესახებ, სპეციალურად დოპინგთან საბრძოლველად შემოიღეს.

აგრიკოლა ციხეში არ მჯდარა. მიზეზი: იტალიაში თუ განაჩენი ორ წელზე ნაკლებია, პირველ ჯერზე გისოსებს მიღმა არ სვამენ. გარდა ამისა, იგი მედიცინას დაუბრუნდება.

„დიდებული დღე გათენდა — განაცხადა ჯირაუდომ — სამართალმა გაიმარჯვა".

**პაპუნა ძიძია**



AFP ტურინიდან

ტურინის პროკურორმა რაფაელე გუარინიელომ რიკარდო აგრიკოლას და ანტონიო ჯირაუდოს ბრალდება მოუხსნა



AFP ტურინიდან

# კინმა თავისი იპოვა

**საქმე** გაჩარხულია: როი კინი კიდევ თვრამეტ თვეს ითამაშებს ფეხბურთს, კვირაში კი ხელფასად 45 ათას გირვანქას მიიღებს. ასე რომ, სასარგებლო სასიამოვნოს შეუხამდება. როი ირლანდიელების სიმბოლოში, გლაზგოს „სელტიკში" ითამაშებს, ანუ იმ გუნდში, რომელსაც ბავშვობიდან ქომაგობდა. კინის „სელტიკში" გადასვლის ფულს, ჯამურად 2 მილიონ გირვანქას კლუბის მთავარმეწილე დერმოტ დესმონდი გადაიხდის. ხსენებული ხელფასით როი კინი შოტლანდიის ისტორიაში ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშე შეიქნება.

თუმცა, კინი იანვრის ფანჯარამდე მაინც ვერ ითამაშებს. ვარაუდობენ, რომ ის მინდორზე ახალი წლის პირველ დღეს, „ჰართსის" წინააღმდეგ გამოვა.

გლაზგოს სელტიკურმა ნაწილმა კი უკვე დაიწყო ტრაბახი, რომ მათ კლუბში როი კინის გადასვლა უფრო მაგარი ამბავია, ვიდრე, თავის დროზე „რეინჯერსში" პოლ გესქოინის გადასვლაო.

**ირაკლი გამყრელიძე**




AFP გლაზგოდან

# ბლეფი თუ სინამდვილე
## მათეუსს ხელი დაედვა



AFP

ლოთარ მათეუსი

**იტალიური** ტელეარხი „სკაი სპორტ იტალია" ლოთარ მათეუსს თაღლითობაში ადანაშაულებს. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრისას მათეუსმა მეოთხე კალათიდან ბურთულა ამოიღო, გაუშვა და მერე სხვას სტაცა ხელი.

ტელეკომპანიის წარმომადგენლების აზრით, ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა გერმანიის მეოთხე მეტოქე ირკვეოდა. კალათაში იყვნენ: სამხრეთ კორეა, აშშ, იაპონია და კოსტა რიკა. გახსოვთ, ალბათ, რომ მასპინძლებს კოსტა რიკა ერგოთ.

იტალიელების ვარაუდით, ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი. ეს კი აი, როგორ კეთდება: ბურთულებს, რომელშიც შედარებით სუსტი გუნდები არიან, აცივებენ, ხოლო ძლიერგუნდიან ბურთულებს აცხელებენ. ამგვარად ხელისჩამყოფი იოლად იგებს, რომელი ქვეყანა უნდა „ამოაძროს".

ლოთარ მათეუსი ბლეფს, რა თქმა უნდა, უარყოფს.

**ვაჟა ხუციშვილი**

*მადრიდულმა „ხეტაფემ" ბერნდ შუსტერთან კონტრაქტი განაახლა, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანელი მწვრთნელი კლუბში 2008 წლის ივნისამდე დარჩება*

# არ დაგთმობთ, ბერნი

**„ერთად** მუშაობის ხუთთვიანი პერიოდის შემდეგ შუსტერთან ხელშეკრულების გახანგძლივებაზე შევთანხმდით. იმ ოთხ მწვრთნელს შორის, რომელთანაც ურთიერთობამ მომიწია, ბერნი ყველაზე უკეთესია" — განუცხადა „ხეტაფეს" პრეზიდენტმა ანხელ ტორესმა ესპანურ „მარკას". ცხადია, თავად შუსტერიც კმაყოფილია: „ხეტაფეში" კიდევ ორი წელი ვიქნები. აქ თავს ჩინებულად ვგრძნობ და არსად წასვლა არ მსურდა".

მოგეხსენებათ, ბერნდ შუსტერის ბიჭები წლეულს, რამდენიმე ტურის მანძილზე ესპანურ პრიმერას თავკაცობდნენ კიდეც, მაგრამ მერე მადრიდის „რეალთან" და სანტანდერის „რასინგთან" მიჯრით წააგეს და ახლა ცხრილში მეცხრე ადგილზე არიან.

„ბოლოდროინდელი ცუდი შედეგების გამო არ ვნერვიულობ. ჩემი გუნდის შესაძლებლობები კარგად ვიცი და შუსტერს ჩემპიონობას ვერ მოვთხოვ. უბრალოდ, მინდა, ამ მწვრთნელმა გუნდს მებრძოლი სული შეუნარჩუნოს" — დასძენს სენიორ ტორესი.



ბერნდ შუსტერი

მაგრამ, პრეზიდენტს ერთი საწუხარიც აქვს — ქვეყნის რომელიმე ბობოლა გუნდი არ მოიმიხტეს და „ბერნი" არ წამართვასო: „მახსოვს, „სევილიამ" კიკე სანჩეს ფლორესი „ვალენსიას" როგორ გადაულოცა, და ძალიან არ მინდა, ბერნდ შუსტერი სხვას დავუთმო".

**ლადო ხომერიკი**

# ველოდრომის გაზრდა-გახარება

**როგორც** ცნობილი გახდა, მარსელში სურთ, რომ 60-ათასიანი „სტად ველოდრომი" 80-ათასიანი გახადონ. დიზაინი, რომელიც არქიტექტორმა კრისტოფ ჟულიზიმ შექმნა, ხოლო მარსელის ვიცე-მერმა რენო მუსელიემ საჯაროდ გამოიტანა, შეიცავს 3 ათას კვადრატულ მეტრ სახურავს, VIP ლოჟას, ვესტიბიულს, რესტორანს, ამფითეატრს, მაღაზიებსა და ოფისს, რაც ერთად 43 500 კვადრატული მეტრია.

ქალაქში სპორტის განვითარების შეფმა რობერ ვილანიმ განაცხადა: „პროექტს მხარს განა მარტო რენო მუსელიე უჭერს, მას ზურგს „ოლიმპიკის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი რობერ ლუი-დრეიფუსი და მეც ვუჭერთ. ახლა, საბოლოო სიტყვა მარსელის მერზე, ჟან-კლოდ გუდინსა და ქალაქის საბჭოზეა. საბოლოო პასუხს სამ-ოთხ თვეში შევიტყობთ".

აღსანიშნავია, რომ მაისში ასეთივე პროექტი მერიამ უარყო, რადგან საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, მაგრამ ახლა, დაახლოებით 150 მილიონ დოლარს კერძო სექტორი გადაიხდის.

რობერ ვილანი: „მარსელის მუნიციპალიტეტი პროექტს ახლა კი აუცილებლად დაამტკიცებს, რადგან სხვა თუ არაფერი, „სტად ველოდრომი" მის საკუთრებაში დარჩება. უარეს შემთხვევაში კი, ქალაქი ნაგებობის თანამფლობელი გახდება".

**პაპუნა ძიძია**



ამბობენ, „სტად ველოდრომი" ასეთი იქნებაო

*„ბარსელონას“ მცველ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „გლაზგო რეინჯერსთან“ თამაში სურს. „ჯიო“ დღეს ნიონში გასამართ ლიგის კენჭისყრას სწორედ ამ იმედით ელოდება*

# ჩელსის არა უშავს, მაგრამ რეინჯერსი ჯობია

## ჯიომ აიბროქსი ისურვა

**„დიახ,** ყველაზე მეტად „რეინჯერსთან“ ბურთაობა მინდა. ამ კლუბთან ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებს“ — განუცხადა ჰოლანდიელმა უკანახაზელმა უეფას ვებგვერდს.

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, იგივე „ჯიო“, ოთხი სეზონის განმავლობაში თამაშობდა „აიბროქსზე“ და „ჩაფრებს“ 1999 წელს სამი (შოტლანდიის ჩემპიონობა, ასოციაციის თასი და ლიგის თასი), ხოლო მომდევნო წელს ორი (ჩემპიონობა და ასოციაციის თასი) ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. მერე მან ლონდონის „არსენალს“ მიაკითხა, სადაც ცალკე ტრავმებმა და ცალკე კონკურენციამ თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა, მაგრამ ჰოლანდიელს ფეხბურთზე ხელი არ ჩაუქნევია — შარშან, „ბარსელონასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი ჩემპიონთა ლიგის მოგებას აპირებს.

„მერვედფინალში „რეინჯერსი“ კარგი იქნება, თუმც რომელი გუნდიც არ უნდა შეგვხვდეს, მნიშვნელობა არ აქვს, ფავორიტები მაინც ჩვენ ვიქნებით. „ბარსელონას“ წლეულს ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავს“ — აღნიშნა ვან ბრონკჰორსტმა.

გარდა „რეინჯერსისა“, „ბარსას“ შესაძლოა, „ჩელსიც“ დაეჯახოს, გუნდი, რომელმაც გეხსომებათ, კატალონიური გრანდი შარშან გამოთიშა მეოთხედფინალიდან.

„იყოს „ჩელსიც“, არა უშავს“ — ეშმაკური ღიმილით დასძინა ბოლოს „ჯიომ“.

**ლადო ხომერიკი**



ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის (მარცხნივ) აზრით „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია

*ფეხბურთის მეფედ აღიარებულმა პელემ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკვე გააკეთა საკუთარი პროგნოზი. ლეგენდარულმა მოთამაშემ 2006 წლის მუნდიალის ფავორიტებად მშობლიური ბრაზილიის გარდა ინგლისისა და იტალიის ნაკრებები შერაცხა*

# პელემ ბრაზილია დათარსა

**„ბოლო** ორი წლის მანძილზე უამრავი მატჩი ვნახე და აშკარად ჩანს, რომ ინგლისმა ბევრად მოუმატა. თუ გუნდის ლიდერები არ დაშავდნენ, ფინალში ალბათ ბრაზილიის, ინგლისისა და იტალიის ნაკრებებიდან ორ მათგანს ვიხილავთ. თუ მკითხავთ, ვინ მოიგებს, მაინც ბრაზილიას დავასახელებ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სამშობლოა და მასში უამრავი ვარსკვლავი თამაშობს. ჩვენ თითოეულ პოზიციაზე ორი მაღალი კლასის მოთამაშე გვყავს, რაც ბევრს ნიშნავს“ — განმარტა 65 წლის პელემ.

კითხვაზე, შეუძლია თუ არა ინგლისს ბრაზილიის დამარცხება, პელემ უპასუხა: რა თქმა უნდა, შეუძლია, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. მაგალითად, ორმატჩიან დუელში ეს უფრო რთულიც იქნებოდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ეშხიც ხომ იმაშია, რომ ყველაფერს ერთი მატჩი წყვეტს და ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ელოდო“.

პელეს „წინასწარმეტყველური ნიჭი“ დიდი ხანია, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. იგი პროგნოზების კეთებას არასდროს ზარდება და ჟურნალისტებიც სიამოვნებით უსმენენ, მაგრამ, როგორც წესი, მისი ნააზრევი არ მართლდება. თავად ბრაზილიელი სპეციალისტები თუ ქომაგებიც აღიარებენ, რომ პელე დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ სხვა მხრივ ამ თამაშისა არაფერი გაეგება. მეტიც, 2002 წლის მუნდიალის წინ მან იმდენი იძახა, ჩვენ ნაკრებს არც ტაქტიკა უვარგა, არც მოთამაშეები არიან ფორმაში და შანსი არ გვაქვსო, რომ პენტაკამპეონთა მაშინდელ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის საჯარო წყრომა დაიმსახურა.



AFP

ცნობილია, პელეს პროგნოზები არ მართლდება, რა იქნება გერმანიაში?

**ქოქი ქანდელაკი**

## მსოფლიოს 2005 წლის კლუბთა ჩემპიონატი

### ნახევარფინალი

**დეპორტივო საპრისა (კოსტა რიკა) 0:3 ლივერპული (ინგლისი)**

0:1 კროუჩი (3), 0:2 ჯერარდი (32), 0:3 კროუჩი (58)

**დეპორტივო საპრისა:** პორასი, ბადილია, ბენეტი (სოლისი 46), კორდერო, ხ. დრუმონდი, რ. გონსალესი, აზოფეიფა, ბოლანოსი, სენტენო, რ. გომესი (ჯ. დრუმონდი 76), საბორიო (ალემანი 83)

მწვრთნელი: ერნან მედფორდი

**ლივერპული:** რეინა, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია (ლუის გარსია 72), ჯ. ტრაორე, ჯერარდი (სინამა-პონიოლი 64), ხაბი ალონსო (ჰამანი 79), სისოკო, რიისე, კროუჩი, ჯ. სისე

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: აზოფეიფა

მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილე)

43 902 მაყურებელი



კოსტარიკელები პიტერ კროუჩმა დააშამათა

# კროუჩი იოკოჰამაში აყვავდა

## წითლებმა რეკორდი დაამხეს

**„ლივერპულს“** ნახევარ საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა, რათა „დეპორტივო საპრისასთვის“ კლასში სხვაობა ეჩვენებინა. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა კოსტარიკულ გუნდს იოლად მოუგო და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც ბრაზილიურ „სან პაულუს“ შეხვდება. ეს მატჩი კი ზეგ, კვირას გაიმართება.

„ლივერპულმა“ მიჯრით მერვე თამაში მოიგო და ამასთან, ზედიზედ 990 წუთია, გოლი არ გაუშვია. ამ მხრივ „წითლებმა“ 17 წლის წინანდელი თავისივე რეკორდი გააუმჯობესეს.

ახმახმა პიტერ კროუჩმა ანგარიში მესამე წუთზე გახსნა. აყლაყუდა ფორვარდმა საგოლე კომბინაცია თვითონ დაიწყო, რომელიც იონ არნე რიისემ გააგრძელა, ნორვეგიელისგან კი ბურთი ისევ კროუჩს დაუბრუნდა და მანაც ხოსე პორასს გაუტანა.

ნორვეგიელმა ნახევარმცველმა მეორე გოლშიც დაიდო წილი: რიისეს პასით ამჯერად სტივენ ჯერარდმა იხეირა. მან ჩვეულად, ძლიერად გაისროლა და სხვაობა ორამდე გაზარდა. შესვენების შემდეგ „გრძელმა“ ლივერპულელმა მესამე მიართვა მეტოქეს, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩა.

„დეპორტივო საპრისას“ ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები ჰქონდა. ალვარო საბორიომ 27-ე წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან უშნოდ დაჰკრა, მეორე ტაიმში კი კრისტიან ბოლანოსმა და ვალტერ სენტენომ გაიელვეს მოწინააღმდეგის საჯარიმოში.

ბოლოს შეცვლაზე შესულ ლუის გარსიას შეეძლო, მეოთხეც გაეტანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა რიისეს არ მიაწოდა, რომელიც უკეთეს პოზიციაში იყო, ესპანელს კი საგოლე დარტყმა გაუცუდდა.

და ერთიც: „ლივერპულს“ მხოლოდ ეს ჯილდო არ მოუგია და ზეგ მის „დათრევასაც“ ეცდება.

„სან პაულუ“ ტექნიკური გუნდია, მაგრამ ჩვენც გვყავს ტექნიკური ფეხბურთელები — თქვა დუბლის შემსრულებელმა პიტერ კროუჩმა — ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, გოლების გატანას დავიწყებდი. ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო. „დეპორტივო საპრისაც“ საკმაოდ ძლიერი გუნდი აღმოჩნდა, მაგრამ სწრაფად გავიტანეთ და თამაშს ბოლომდე ვაკონტროლებდით“.

**ვაჟა ხუციშვილი**


მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში



ხელმძღვანელი

ქირურგ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
- კონფიდენციალურობა
- საახალწლო ფასდაკლებები



ჰეალაინ ინტერნეიშნლ

თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)

ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

# სერ ალექსმა ამოისუნთქა



„მანჩესტერ იუნაიტედმა“, როგორც იქნა, გაიხარა

ლიგის ცხრილში მეორე ადგილი დაიბრუნა. „უიგანმა“ კი ზედიზედ მეხუთე წაგებით ჩაამთავრა დიდ გუნდებთან გამართული სერია.

უეინ რუნიმ ორი გოლი შეაგდო, ზედაც რუუდ ვან ნისტელროოიმ პენალტით დაამატა და თვით რიო ფერდინანდმაც კი გაიტანა, რომელსაც 140 თამაში ისე ჩაეტარებინა კლუბში, რომ ბურთი ვერ შეეგდო.

ორი დღით, მედიასთან დადუმებული სერ ალექს ფერგიუსონი ამ ჯერზე კმაყოფილი ჩანდა: „საშინელი კვირა გვქონდა. გამოსავალი ერთია: ერთობა და პრინციპულობა. ჩვენთვის მძიმე დღეებში გავიმარჯვეთ. იგივეს ვაპირებთ შაბათსაც, „ასტონ ვილას წინაალმდეგ“.

„მანჩესტერი“ ახლა 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ჩელსის“ და სამი ქულით უსწრებს თამაშნაკლულ „ლივერპულს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**მანჩესტერი 4:0 უიგანი**

1:0 ფერდინანდი (30), 2:0, 3:0 რუნი (35, 55), 4:0 ვან ნისტელროოი (70პ)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი (ბერდსლი 65), ვ. ბრაუნი, ოში, დ. ფლეტჩერი, ა. სმიტი, სქოულზი (პარკი 74), გიგზი (რონალდუ 70), ვან ნისტელროოი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

უიგანი: პოლიტი, ჩიმბონდა, ჯექსონი, ანშო, ბაინსი, ბალარდი, სკოკო (კავანაფი 46), მაჰონი (მაკკალოხი 74), კონოლი, რობერტსი, ა. კამარა

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: რონალდუ, კავანაფი

მსაჯი: ვაილი

67 793 მაყურებელი

**ევერტონი 1:2 ვესტ ჰემი**

1:0 ბიტი (9), 1:1 ვეირი (19ს.კ.), 1:2 ზამორა (67)

ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი (არტეტა 61), იობო, ვეირი, ნუნუ ვალენტე, ოსმანი, ფ. ნევილი, კევინ დევისი, კილბეინი (დ. ფერგიუსონი 68), ბიტი, მაკფადენი (მ. ბენტი 20)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ვესტ ჰემი: კეროლი, რეეპკა, ე. ფერდინანდი, კოლინზი, კონჩესკი, ბენაიუნი, მ. ფლეტჩერი, მალინსი, ეზერინგტონი (დეილი 86), ჰერვუდი, ზამორა (ნიუტონი 86)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: ჰიბერტი, ოსმანი, ფლეტჩერი

მსაჯი: უოლტონი

35 704 მაყურებელი

„მანჩესტერმა“ ოდნავ გამოიხედა თვალებში მას შემდეგ, რაც 4:0 დასცა „უიგანი“ და პრემიერ-

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 16 | 14 | 1 | 1 | 35:7 | 43 |
| მანჩესტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 29:14 | 34 |
| ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 20:8 | 31 |
| ტოტენჰემი | 16 | 8 | 6 | 2 | 22:13 | 30 |
| ბოლტონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:14 | 27 |
| არსენალი | 15 | 8 | 2 | 5 | 22:13 | 26 |
| ვესტ ჰემი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:17 | 25 |
| უიგანი | 16 | 8 | 1 | 7 | 16:18 | 25 |
| სიტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:15 | 24 |
| ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 14:15 | 22 |
| ჩარლტონი | 15 | 7 | 1 | 7 | 21:23 | 22 |
| ბლექბერნი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:22 | 21 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 20:23 | 19 |
| ასტონ ვილა | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | 17 |
| ევერტონი | 16 | 5 | 2 | 9 | 9:19 | 17 |
| ფულემი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:21 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:24 | 16 |
| ბირმინგემი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:19 | 12 |
| პორტსმუთი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:26 | 10 |
| სანდერლენდი | 17 | 1 | 2 | 14 | 14:35 | 5 |



„ბოკა ხუნიორსი“ არგენტინის ჩემპიონი 21-ედ გახდა

# ბოკამ არგენტინას ზემოდან გადმოხედა

## არგენტინა

### აპერტურა
### გადადებული მატჩები

ბანფილდი — ხიმნასია (ლ) 1:1; ინდეპენდიენტე — როსარიო 2:2; ოლდ ბოისი — რასინგი 0:1; ოლიმპო — ბოკა ხუნიორსი 1:2

**გუშინწინ,** გვიან ღამით ალფიო ბაზილეს „ბოკა ხუნიორსმა“ „ოლიმპოსთან“ სტუმრად 2:1 მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ჩემპიონი 21-ედ გახდა. მეორეადგილოსნობას დასჯერდა „ხიმნასია ლა პლატა“, გუნდი, რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდა „აპერტურას“.

„ხიმნასია ლა პლატა“ „ბანფილდთან“ თამაშობდა, „ხუნიორსს“ კი სულ ცოტა, ფეხი უნდა დასცდენოდა. კინაღამ ასეც მოხდა — ბაია ბლანკაში პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, მეშვიდე წუთზე ისმაელ ბლანკომ მეტოქის მცველთა შეცდომით ისარგებლა და დიდებული გოლი შეაგდო. ბლანკოს და მისი თანაგუნდელების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა — „ბოკას“ მცველმა დანიელ დიასმა ორ წუთში გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის მიწურულს კი სტუმარმა ფედერიკო ინსუამ გამარჯვებისა გაიტანა.

„ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო. წლევანდელი აპერტურა კარგად ჩავამთავრეთ, რაც ჩვენი მწვრთნელის, ალფიო ბაზილეს და ფეხბურთელების დამსახურებაა“ — განუცხადა ჟურნალისტებს „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტმა დიეგო მარადონამ. მოგეხსენებათ, ლეგენდარული არგენტინელი ექვსი თვეა, რაც გუნდის ერთ-ერთ უფროსად დანიშნეს და ცხადია, გაიხარა კიდეც.

**ლადო ხომერიკი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 12 | 4 | 3 | 36:17 | 40 |
| ხიმნასია (ლ) | 19 | 11 | 4 | 4 | 28:19 | 37 |
| ველესი | 19 | 10 | 3 | 6 | 26:16 | 33 |
| ინდეპენდიენტე | 19 | 8 | 8 | 3 | 34:22 | 32 |
| ბანფილდი | 19 | 5 | 13 | 1 | 25:15 | 28 |
| რივერ პლეიტი | 19 | 8 | 4 | 7 | 31:22 | 28 |
| ესტუდიანტესი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:22 | 28 |
| არგ. ხუნიორსი | 19 | 8 | 4 | 7 | 19:20 | 28 |
| სან ლორენსო | 19 | 8 | 4 | 7 | 33:39 | 28 |
| კოლონი | 19 | 7 | 5 | 7 | 28:27 | 26 |
| რასინგი | 19 | 7 | 4 | 8 | 28:27 | 25 |
| ოლიმპო | 19 | 5 | 8 | 6 | 19:23 | 23 |
| ლანუსი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:31 | 23 |
| არსენალი | 19 | 5 | 7 | 7 | 23:24 | 22 |
| როსარიო | 19 | 5 | 7 | 7 | 20:29 | 22 |
| ოლდ ბოისი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:27 | 20 |
| კილმესი | 19 | 4 | 7 | 8 | 20:27 | 19 |
| ხიმნასია (ხ) | 19 | 3 | 9 | 7 | 23:30 | 18 |
| ტირო ფედერალი | 19 | 4 | 3 | 12 | 22:31 | 15 |
| ინსტიტუტო | 19 | 2 | 9 | 8 | 11:27 | 15 |

# როდემდე?
## ლაუტერნს ვოლფიც არ გამოადგა

## გერმანია

### ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**ლაუტერნი 1:2 აინტრახტი**

0:1 ვაისენბერგერი (50), 0:2 კოპადო (58), 1:2 ზაიცი (85)

